„ქართული გენია როკვით განფენილი“

საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№5 (33), ნოემბერი, 2011 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

ლატავრა ფოჩიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები იხილეთ მე-8-9 გვერდებზე

ლატავრა ფოჩიანი

ლატავრას ქროლვა ჰაეროვანი, როკვის გვირგვინი – ჩვენი „ქართული“, მადლითუხებული ერის ხატება, გასაოცარი და შემართული. მშვენიერების შორს მოსაფენად, დედოფლურ ეშხით რჩავს ლატავრა, ქართული გენი, ქართული სული, მსოფლიოს გზებზე კდემით ატარა!

ფოტო და ლექსი
თენგიზ უთმელიძისა

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ნიკა გილაურს

ბატონო ნიკა,

მოგმართავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის სახელით. კავშირისა, რომელშიც გაერთიანებულია უნიკალური ქართული ხალხური ცეკვების დამდგმელი ქორეოგრაფების, ქორეოლოგებისა და შემსრულებელ მოცეკვავეთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ასობით ღვაწლმოსილი და დამსახურებული მოღვაწე, (თუ საბავშვო ქორეოგრაფიასაც გავითვალისწინებთ, მათი რიცხვი ათი ათასებსაც გადააჭარბებს).

ჩვენი მხრივ, უმადურობა იქნებოდა, არ დაგვენახა ის დიდი ამაგი, რომელსაც საქართველოს მთავრობა იჩენს ქართული ფოლკლორის ასაღორძინებლად და აღმავლობის გზაზე დასაყენებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ უკვე გაკეთებულია, გასაკეთებელი კვლავაც ბევრია, მათ შორის ქორეოგრაფიის თეორიული საფუძვლების, მეთოდური რეკომენდაციების, რეპერტუარის დახვეწის, საშემსრულებლო ხელოვნების ამაღლების, უცხოეთში საგასტროლოდ გამსვლელ ანსამბლთა (მათ შორის, საბავშვო, მოზარდთა და სტუდენტური) ობიექტური შერჩევის, ქორეოგრაფთა ახალი თაობების აღზრდის და ა.შ. მიმართულებით. არადა, ყველა ზემოჩამოთვლილ სფეროში ვითარება, არასახარბიელოა და სასწრაფო მიხედვას მოითხოვს.

ქართული ცეკვის მოვლა-პატრონობა და პროპაგანდა სამსახურებრივად, პირველ რიგში, ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს და მის გამგეობას ევალება. მაგრამ, ჩვენ, ამ კავშირის ახლადარჩეული ხელმძღვანელები, საქმეს სათანადოდ ვერ ვაკეთებთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირს თავისი ოფისი არ გააჩნია როგორც კავშირის წევრებისა და უცხოელი სტუმრების მისაღებად, ისე ნორმალური მუშაობის გასაშლელად.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი არაორდინალური სიტუაცია და გამოგვიყოთ რამდენიმეოთახიანი ფართი საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ყველა იმ მიზნისა და ამოცანის განსახორციელებლად, რომლებიც კავშირის მეხუთე ყრილობამ კავშირის ხელმძღვანელობას დაგვავალა.

გპირდებით, რომ საკითხის დადებითი გადაწყვეტა ჩვენი საქმიანობის ახალ, მძლავრ სტიმულად იქცევა.

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერისა.

გულწრფელი პატივისცემით,

ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი -

კავშირის თავმჯდომარე,

პროფესორი.

"არგინეთი" თბილისობაზე

წლევანდელ თბილისობაზე, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ყველა რეგიონის ქორეოგრაფიული სტუდიები და ანსამბლები იყო წარმოდგენილი. გამორჩეულად წარმატებით გამოვიდა ხულოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“ (ხელმძღვანელი გურამ ბოლქვაძე). მაყურებელი ოვაციებით ხვდებოდა არგინეთელთა მიერ შესრულებულ ყველა ცაკვას. ეს იყო ანსამბლის წევრებისა და მათი ხელმძღვანელის თბილისური წარმატების დღე. ითქვა, რომ ამ შესანიშნავ ანსამბლს მომავალშიც მოიწვევენ „თბილისობის“ ტრადიციულ დღესასწაულზე.

იმ დღეს ანსამბლის ხელმძღვანელს და ბავშვებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ანზორ ბოლქვაძემ უმასპინძლა. ეს სამახსოვრო ფოტოც სწორედ მაშინ გადაიღეს.

მნიშვნელოვანია, რომ ანსამბლში 80-მდე ბავშვია და მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელს აერთიანებს. აჭარის მთავრობის დაფინანსებით ბავშვებისათვის საცეკვაო დარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს.

ამბები რეგიონებიდან

● წყალტუბო

ქართული ცეკვის ნამღვილი ზეიმი

წყალტუბოში ჩატარდა ქართული ხალხური ცეკვების ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალის „შემოდგომის ზეიმის“ პირველი ტურის შესარჩევი კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რევაზ ჭანიშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები: ხელოვნებათმცოდნე ოლეგ ალავიძე, ჩვენი თანაქალაქელი, ქორეოგრაფიული ხელოვნების ამაგდარი, ღირსების ორდენის კავალერი იური ტორაძე; ამავე კავშირის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონალური კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული არტისტი ჯეირან გოგინავა, მოადგილეები: ავთანდილ ლომთაძე, კოტე ნიქაბაძე.

ფესტივალში დასავლეთ საქართველოს 27 მხატვრული კოლექტივი მონაწილეობდა. მათ შორის სამი ანსამბლი წყალტუბოდან: „სიონი“, „ეგრისი“ და „იმერეთი“.

თავდაპირველად სტუმრებმა ანსამბლების ხელმძღვანელებს, ქორეოგრაფებს, აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს მიულოცეს ფესტივალის გახსნა, აღნიშნეს, რომ წყალტუბო ყოველთვის ღირსეულად მასპინძლობს ამგვარი ღონიძიებების ინციატორებსა და ორგანიზატორებს, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სანახაობა საინტერესოდ და ტექნიკური ხარვეზების გარეშე ჩატარდეს.

შემდეგ საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ ქართული ცეკვის ნამდვილი ზეიმი გაიმართა. განსაკუთრებული ოვაცია დაიმსახურა ანსამბლ „სიონის“ (ხელმძღვანელი ავთანდილ ქუთათელაძე, ქორეოგრაფები: გია რეხვიაშვილი, ბესო შენგელია) წარმოდგენილმა „დოლურმა“ (აღნიშნულმა ნომერმა ანსამბლის წევრებს 2011 წლის ზაფხულში გამართულ პროექტ „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურში წარმატება მოუტანა, ისინი მომდევნო ეტაპზე გადავიდნენ), აგრეთვე პატარების მიერ შესრულებულმა ცეკვა „რაჭულმა“.

ფესტივალის დახურვისას აღინიშნა, რომ გაიმარჯვა მისმა ყველა მონაწილემ, ანუ ქართული ქორეოგრაფიის მომავალმა. მხატვრული კოლექტივების წევრებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები.

http://www.tskaltubo.ge
5.10.2011

● ᲐᲭᲐᲠᲐ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ“ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘᲐ

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სამხრეთ ოსეთი“ აჭარაშია. ხელოვანებმა ანსამბლ „ბათუმთან“ ერთად შემოქმედებითი საღამო ბათუმის დრამატულ თეატრში 26 ნოემბერს გამართეს.

კონცერტზე ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები შესრულდა. 2-საათიანი პროგრამა 24 საკონცერტო ნომერს მოიცავს. საღამო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისა და აჭარის ქორეოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით დაიგეგმა.

ანსამბლი „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში 5 წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში ხელოვანებმა 4 საერთაშორისო გრან პრი მოიპოვეს. ანსამბლმა ბოლო კონცერტი აჭარაში 2007 წელს გამართა.

http://www.ajaratv.ge
26, ნოემბერი 2011 წ.

● ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲨᲘᲠᲐᲥᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

28 ოქტომბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ადგილობრივ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქისა“ და ჩოხოსანთა ანსამბლ „შავლეგოს“ კონცერტი გაიმართა, სადაც ასევე ცნობილი ქართველი მომღერალი ეთერ კაკულია და პოპულარული პაროდისტი მერაბ გეგეჭკორიც მონაწილეობენ.

კონცერტის დაწყებამდე მაყურებელმა ქორეოგრაფიული სტუდიის ბაზაზე ჩამოყალიბებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაქის“ წარმატებებისა და სხვადასხვა ქვეყნებში გასტროლების ამსახველი დოკუმენტური ვიდეოფილმი იხილა. შემდეგ კი სცენა ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა დაიპყრეს და მაყურებლის წინაშე ჩვეული ცეცხლი დაანთეს. შესრულდა ყველასთვის საყვარელი ცეკვები: „განდაგანა“, „ხორუმი“, „ფარიკაობა“, „ხევსურული ცეკვა“, „სვანური“ და სხვა.

● გორი

ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

გორის კულტურისა და ტურიზმის ცენტრში ქორეოგრაფიული კონკურსი გაიმართა. მასში გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის 20 ანსამბლი იღებდა მონაწილეობას. ამ ღონისძიების მიზანი ქართული ცეკვის პოპულარიზაცია იყო. წარმოდგენილი ცეკვები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა და გამარჯვებულებს სიგელები გადაეცათ. აღნიშნული კონკურსი ქორეოგრაფების ატესტაციის წინა ეტაპი იყო. ღონისძიება საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის ორგანიზებით გაიმართა.

http://trialeti.ge

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲔ-10 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. მორო; 6. რიდლი; 9. ფერხული; 10. ინისი; 13. ალტაი; 14. ტორაძე; 15. ნადი; 17. ნგმი; 19. კრაგი; 21. აპია; 22. ვაიო; 23. ამური; 26. ლია; 27. ოდა; 28. ანუი; 29. ქალაუ; 30. ჭილო; 31. ალია; 32. იმა; 34. კოწო; 36. ტანა; 37. ნოკია; 38. ოჟიო.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ქორეოლოგია; 2. ხორხიანი; 3. მადლი; 4. პაი; 7. იუნია; 8. ლისტი; 11. კარა; 12. ქეცი; 16. დიპლიპიტო; 17. ნავდარა; 18. მძიმური; 19. კაა; 20. გორდა; 24. უოლტი; 25. იაუზა; 29. ქორო; 33. მენტი; 34. კონა; 35. წეკო; 36. ტაო.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ჩვენი გაზეთის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა სია იმ ცნობილი, გამოჩენილი ადამიანებისა, რომელთა ავტორიტეტი, კეთილგონიერება, ნათელი პატრიოტიზმი და მოქალაქეობრიობა მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურისა და ხელოვნებისათვის სასიკეთო სამსახურში და რომლებიც უცილობლად გვესახებიან საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის რჩეულ, საპატიო წევრებად. ამ სიაში ჩვენდაუნებურად გამორჩენილია ცნობილი ქორეოგრაფი, ანსამბლ "ლომისის" ხელმძღვანელი **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲚᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** *რისთვისაც ვუბოდიშებთ ქალბატონ თამარს.*

კვლევა — **ქორეოგრაფია არქეოლოგიაში**

სამადლოს მოხატული ჭურჭელი

თაღარი

სამადლოს არქეოლოგიურ გათხრებში მოპოვებული მასალები განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია. მასში ასახულია ჩვ. წ. აღრიცხვამდე IV-II სს-ის ქართული მატერიალური კულტურის ყველა სფერო — ყოფითი და საკულტო საგნები, მორთულობა, საბრძოლო და შრომის იარაღები, ხელოვნების საგნები და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოხატული კერამიკა. თითოეული სახის ჭურჭლის მოხატულობა თავისებური ხასიათის მატარებელია. საყურადღებოა ჭურჭლის სიუჟეტური მოხატულობა.

ამგვარი სასმისები ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში იყო გავრცელებული. ამავე პერიოდში უკვე უზარმაზარ ქვევრებს ფლავდნენ მიწაში, ამის დასტური სამადლოში — ელინისტური ხანის ნაქალაქარში — ნაპოვნი ტონა-ნახევრიანი ქვევრია, ბრძოლისა და ნადირობის სცენებით მოხატული და იქვე თაღარიც, საწნახელის ქვეშ შესადგამი ჭურჭელი, სადაც დაწურული წვენი გროვდებოდა. ამ ფუნქციის ჭურჭელი დღემდე გლეხის მარნის ატრიბუტია, ხოლო თაღარი კი ჩვენს წინაპრებს საცეკვაო ფერხულში ჩაბმული მოცეკვავე მამაკაცის ფიგურებით ჰქონდათ შემკობილი.

სამადლოური თაღარი–ძირბრტყელი ორყურა ჭურჭელი, სიმაღლე 0,80მ. პირის დიამეტრი – 1,5 მ. ფორმით ძველბერძნულ ზარისებურ კრატერებთან იჩენს მსგავსებას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნია ჭურჭლის ასეთი ნატეხები. ასე რომ, იგი მარტო სამადლოს თავისებურებად ვერ ჩაითვლება. მეცნიერთა აზრით, სამადლოზე აღმოჩენილი თაღარი–ისარნისებური ჭურჭელი აშკარად ღვინოსთან არის დაკავშირებული.

სამადლოურ „თაღარზე“, რომელიც მხოლოდ ერთი ფრიზისაგან შედგება, გამოსახულია ფერხულში ჩაბმული ოთხი მოცეკვავე მამაკაცის სილუეტი-ფიგურა სიმაღლით 0,25 მ. ფერხულის მონაწილეები განლაგებულია ზურგით წრისაკენ, ყველა მონაწილის ხელები მტევნებითაა შეერთებული, ფერხულში მდგომი მამკაცის მარჯვენა ხელი მოხრილია იდაყვის სახსარში დაახლოებით 90⁰, მარცხენა ხელი გამართულია გარექვემკლავის მდგომარეობაში. ფერხულში მდგომი წინა მამაკაცის მარჯვენა და ბოლოში მდგომის მარცხენა ხელი გაშლილი-გამართულია და ფერხულის გაგრძელებისა და წრეზე უსასრულო, მარადიული, მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის.

მეფერხულეებს მარჯვენა ფეხი საკმაოდ დიდზე აქვთ წინ — ზემოთ გატანილი. ჩვენი აზრით, მოძრაობა სწრაფი, მალი ნაბიჯით სვლის ან სირბილის ფაზის ვერტიკალის მომენტში უნდა იყოს დაფიქსირებული. აშკარად ჩანს ფერხულის დინამიურობა. მზერა მიპყრობილია წინ, ფერხული მოძრაობს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. მეფერხულეთა შორის მანძილი თანაბარია და მოძრაობები სინქრონული. ნახატში გაწაფული ოსტატის ხელი იგრძნობა, მას გაბედული შტრიხებით, ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე, განზოგადოებული, მაგრამ სიცოცხლით და მოძრაობით სავსე სილუეტები გამოუსახავს. სავარაუდოდ, ფერხული გარკვეული მაორგანიზებელი რიტმის თუ მელოდიის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს. სხვაგვარად ძნელი გახდებოდა კოლექტიური მსვლელობის ორგანიზება.

სამადლოური „თაღარის“ (ისარნას) ფრიზზე ფერხულის სცენა გამოყოფილია მახვილწვერიანი გეომეტრიული სამკუთხედებით. ძნელია ფერხულში მონაწილეთა საერთო რაოდენობის დადგენა, მაგრამ, სავარაუდოდ, ფერხულის მასობრივ შესრულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენთვის უცნობია, დაზიანების გამო „თაღარის“ ფრიზზე ფერხულის გაგრძელებას რა სცენები წარმოადგენს, რაც კვლევისას ზოგიერთი დეტალის დადგენას აძნელებს.

სამადლოურ თაღარზე გამოსახული ფერხული დიდ მსგავსებას ავლენს სამადლოს ქვევრის ფერხულთან. მხოლოდ, სამადლოს ფერხული მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით. ქვევრისა და თაღარის ფრიზზე აღბეჭდილი ორივე საფერხულო სცენა შინაარსობრივი, ფუნქციური და სტრუქტურული ანალიზის შედეგად, ერთნაირია, ერთი შინაარსისა და სიუჟეტის, სიუჟეტურ-თემატური კომპოზიციის ნაწილი უნდა იყოს. მსგავსია გამოსახვის ტექნოლოგიები: მოყვითალო ანგობირებულ ფონზე წითელი წერნაქით შესრულებული გეომეტრიული სახეებით (სარტყლური, სამკუთხედის და სხვა) და მრავალფიგურიანი კომპოზიციებით (ბრძოლის, ნადირობის, ცეკვის სცენები და სხვა) შემკული თიხის ეს ორი ჭურჭელი ხელოვნების ნიმუშია. სამადლოური ქვევრისა და თაღარის ფრიზზე გამოსახული მეფერხულე და მონადირე მამაკაცთა ჩაცმულობა მსგავსია, განმასხვავებელი ნიშნები არ ფიქსირდება.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ფერხულის სცენას უამრავი ანალოგი ეძებნება თითქმის ყველა ქვეყანაში, ყველა დროში, სადაც ეს გამოსახულება გვხვდება. მეცნიერთა აზრით, მას ნყოფიერების კულტს უკავშირებენ. საკმარისია, გავიხსენოთ ქართველი მთიელების საწესო ფერხული — „ფერხისაი“ ან „ქორბეღელა“, რომელიც სრულდებოდა ხატობას, ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული მეტისმეტად არქაული სასიმღეროს თანხლებით (პროფ. ვ. ბარდაველიძე). სამადლოური „ისარნაც“ ფერხულის გამოსახულებით დაკავშირებულია ვაზთან, ყურძენთან, ღვინოსთან, რომლებიც იმ დროსაც ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტები იყვნენ. სარიტუალო ფერხული, ნაყოფიერების ტრადიციულ კულტებთანაა დაკავშირებული, რაც სვანური ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება.

სამადლოური თაღარი (ისარნა) შემსრულებელთა რაოდენობის მიხედვით, მსგავსებას ავლენს ბრინჯაოს სარტყელთან. თაღარის მსგავსად ბრინჯაოს სარტყელზეც ერთნაირი მიმართულებით მოძრავი ოთხი მამაკაცის ფიგურაა გამოსახული. სარტყელზე ნადირობის თუ ბრძოლის სიუჟეტურ სცენაში საფერხულო მსვლელობა, მტკიცე ნაბიჯებით, არადინამიური სვლით მოძრავი ფერხულია აღბეჭდილი.

ვინაიდან თაღარი არ ჩაითვლება მარტო სამადლოს კუთვნილებად, აქედან გამომდინარე თაღარზე გამოსახული ფერხულის სცენა ზოგადქართული ნიშნის მატარებელი უნდა იყოს. მეფერხულეთა ძირითადი მდგომარეობები: ხელის, ფეხის, თავის, ტანის, საერთოა და სრულიად დამახასიათებელია ზოგადქართული საფერხულო-საცეკვაო ხელოვნებისათვის.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების გადასინჯვით შეგვიძლია წრის ორი მიმართულებით – მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნვა დავაფიქსიროთ. სამადლოურ ისარნაზე და ქვევრზე ფერხული საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. იმ დროისათვის ჩვენ გვქონია წრის ორივე მხარეს–მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნვები. ფიქსირდება ცეკვის კომპოზიციის შემადგენელი ნაწილის, ცეკვის ნახაზის არსებობის ადრეული ფორმა — წრე. თაღარზე გამოსახული ფერხული, ფორმის მხრივ, წრეზე მოძრავ ერთსართულიან ფერხულთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნ ვერცხლის თასზე, ბრინჯაოს სარტყელზე, სამადლოს ქვევრზე, სამადლოს თაღარზე, რელიგიურ-რიტუალური და მითოლოგიური სიუჟეტებია აღბეჭდილი. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ნიმუშზე ფერხულებია გამოსახული და, უმეტეს შემთხვევაში, მეფერხულეები ზურგით არიან წრეში აღბეჭდილი, ალბათ, გამოსახვის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მართებულია სამადლოს ჭურჭლის — თაღარისა და ქვევრის – სიუჟეტური მოხატულობის, კერძოდ, საფერხულო სცენების, ერთ მთლიან კონტექსტში განხილვა. სამადლოს ქვევრზე და ისარნაზე ასახული მამაკაცთა სილუეტური ფიგურები, საცეკვაო მდგომარეობა — მოძრაობებში გამოსახული, დამახასიათებელია არა მარტო საერთოქართული, არამედ სხვა ერთა საფერხულო-საცეკვაო ხელოვნებისათვისაც.

მეცნიერთა აზრით, ისარნაზე გამოსახული ფერხული აუცილებლად ღვინოსთან არის დაკავშირებული. თუმცა ჭურჭელზე ცხოველთა თუ სხვა ფიგურათა გამოსახვა მათ ყოველთვის მოსწონდათ ისევე, როგორც ღვინის კულტს ხშირად უკავშირებდნენ ნაყოფიერების აღმნიშვნელ ატრიბუტს, ადამიანის ფალოსს და მას ხან სასმისის ფორმას აძლევდნენ, ხანაც სხვადასხვა ორნამენტად გამოსახავდნენ.

ჩვენ არ უარვყოფთ მოსაზრებას სამადლოს ქვევრის შესახებ. რიგ მკვლევართა აზრით, სამადლოს ქვევრზე საბრძოლო შინაარსის ცეკვა — ხორუმია გამოსახული. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არქეოლოგიურ გათხრებში ნაპოვნი მატერიალური კულტურის ორ უნიკალურ ჭურჭელზე – სამადლოს ქვევრზე და თაღარზე – ერთი და იგივე ფერხული უნდა იყოს ასახული.

სამადლოს თაღარზე ასახული საფერხულო ცეკვის მოძრაობა-მდგომარეობა ზოგადქართულია, დამახასიათებელია სხვადასხვა შინაარსისა და ჟანრის ფერხულებისათვის. სამადლოურ ქვევრთან მიმართებაში განხილვის შედეგად თაღარზე გამოსახული ფერხული სამონადირეო, საბრძოლო და სარიტუალო შინაარსის ფერხულთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

უჩა დვალიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

24.10.2011 წ.

წარსულის ფურცლები

მარია პერინი

ბევრ ქართველ სახელოვან ქორეოგრაფს ბიოგრაფიაში უწერია, რომ წარმატებით დაამთავრა მარია პერინის ქორეოგრაფიული სტუდია. მათ შორისა არიან დები ნინო და თამარ რამიშვილები და ილიკო სუხიშვილი. ბევრმა არ იცის, თუ ვინ იყო მარია პერინი და რას წარმოადგენდა მისი თბილისური სტუდია. ამიტომ, ვსიქრობთ, ჩვენი მკითხელისთვის საინტერესო იქნება ამ კეთილშობილი იტალიელი ქალბატონის ისტორია. გთავაზობთ ლეილა ჭიჭინაძის სტატიას საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო–პოპულარული ჟურნალიდან „ARTPALACE“.

1922 წელს, თბილისში, კომენდანტის ქუჩაზე, კომერსანტ არშაკუნის სახლში დაარსდა საქართველოს სამხატვრო აკადემია. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა — ამ გამორჩეული შენობის არქიტექტურა (არქიტ. გრ. ივანოვი), დიზაინი (ინტერიერები გაფორმებულია თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების მიერ) და იქ გამეფებული შემოქმედებითი ატმოსფერო, თავისი ესთეტიკითა და განწყობით, სრულად შეესაბამებოდა მის დანიშნულებას.

ამავე შენობის ფლიგელში, 1937 წლამდე განთავსებული იყო აკადემიის პროფესორის, მხატვარ ჰენრიკ გრინევსკის სახელოსნო და მისი მეუღლის, შესანიშნავი იტალიელი მოცეკვავის, მარია პერინის საბალეტო სტუდია.

ჰენრიკ გრინევსკიმ, წარმოშობით პოლონელმა, სამხატვრო განათლება ფლორენციაში მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის, დ. ჩუბინაშვილთან, ი. ნიკოლაძესთან, ე. ლანსერესთან, ა.კალგინთან და სხვებთან ერთად, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთერთი ფუძემდებელი გახდა. აკადემიაში გრინევსკი ასწავლიდა პერსპექტივას, არქიტექტურულ ნახატს, აკვარელით ფერწერას. მისი სტუდენტები (ვ. ბერიძე, დ. ციციშვილი და სხვ.) მოგვითხრობენ, რომ მას ძალიან საინტერესო ლექციები ჰქონდა, არაორდინარულ დავალებებს აძლევდა შეგირდებს და, ამასთან, თითოეულის მიდრეკილებასა და შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ლექციებს ხშირად სახელოსნოში ატარებდა. სახელოსნო დიდი არ იყო, კედლები დაფარული იყო წიგნის თაროებით, ნახატებით, მცენარეებითა და ბევრი ლამაზი საგნით. მას მდიდარი მასალა ჰქონდა, ვინაიდან მონაწილეობდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციებში, რომელთა მიზანი იყო უძველესი ფრესკების გადმოღება, ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების აზომვა და ნატურიდან აკვარელით ჩანახატების შესრულება. ლამაზი, არტისტული და საინტერესო გარემო სტუდენტებს იზიდავდა და მეცადინეობას განსაკუთრებულ ხალისს ანიჭებდა.

გრინევსკის სახელოსნოს გვერდით მისი მეუღლის, მარია პერინის საბალეტო სტუდია იყო განთავსებული. პერინი ჩრდილოეთ იტალიიდან იყო და ტურინის სამეფო ოპერის საბალეტო სკოლა ჰქონდა დამთავრებული. მისი მასწავლებლები იყვნენ გამორჩეული ბალეტმეისტერები და ქორეოგრაფები: დაწყებით კლასებში — ფერერო, საშუალო კლასში — მენგოლო, ხოლო სოლისტის კლასში — ლეგრენი. ამავე თეატრში მარია პერინი წარმატებით გამოდიოდა ისეთ ცნობილ მოცეკვავეებთან ერთად, როგორიც იყვნენ: ვ. ცუკი, პ. ლენიანი, ე. ჩეკეტი (აღსანიშნავია, რომ ჩეკეტი შემდგომ, გარკვეული ხანი (1892-1902), ასწავლიდა პეტერბურგის სამეფო ბალეტის სკოლაში და მისი მოსწავლეები იყვნენ შემდგომში დიდი მოცეკვავეები: ა. პავლოვა ვ. ნიჟინსკი, მ. ფოკინი, ო. პრეობრაჟენსკაია და სხვ.).

1890 წელს პერინი თბილისის ოპერის თეატრში სოლისტად მიიწვიეს. უკვე 1891 წელს, საქართველოში ბალეტის პირველი შემსრულებლების, მ. პერინისა და ა. ინოჩენცის (მისი პირველი მეუღლე) საბენეფისო საღამო გაიმართა. ქართველ მაყურებელს პირველად სწორედ პერინიმ აჩვენა 32 ფუეტე, აგრძნობინა ევროპული ცეკვის კლასი და ანახა საცეკვაო ნომრების ჭეშმარიტად ვირტუოზული შესრულება. 1897–1907 წლებში ის თბილისის საოპერო თეატრის პრიმა ბალერინაა, ხოლო შემდეგ აქტიურ საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. პერინისთანაა დაკავშირებული ქართული საბალეტო სკოლის საფუძვლის ჩაყრა. კლასიკური ცეკვის შესწავლის მისეულმა მეთოდმა, თაობებმა, რომელიც მან აღზარდა, მყარი საფუძველი მოამზადა ქართული ბალეტის ჩამოყალიბებისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ საბალეტო და საოპერო ხელოვნების ჩამოყალიბებას საქართველობაში თავისი წინაპირობა ჰქონდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თბილისში ფეხს იკიდებს მუსიკალური საღამოები და მეჯლისები, ხოლო ქართველ არისტოკრატთა სალონებში მკვიდრდება მუზიცირებისა და ევროპული ცეკვის ტრადიცია. XIX ს-ის 40-იან წლებში თბილისში სხვადასხვა საცეკვაო კლასები გაჩნდა, რომელიც მხოლოდ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი. 1844 წელს საქართველოში დანიშნულმა კავკასიის მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა, გრაფმა მიხეილ ვორონცოვმა სხვადასხვა სახის კულტურულ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოში ოპერის ჟანრით დაინტერესება. აშენდა სათეატრო ნაგებობა (იტალიელი არქიტექტორის, ჯოვანი სკუდიერის პროექტით), შეიქმნა საოპერო დასი, 1851 წელს კი თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ოპერის თეატრი, სადაც იდგმებოდა რუს და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მოწვეული იყო იტალიური ოპერა, ვენის საიმპერატორო ოპერეტა, მოსკოვისა და პეტერბურგის ოპერები, პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტი და სხვ. საოპერო დასთან ერთად, თეატრში არსებობდა მცირე საბალეტო ჯგუფიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის საბალეტო სასწავლებლის პედაგოგი, ბალეტის მსახიობი თ. მანოხინი, ხოლო 1919-22 წლის სეზონებში საბალეტო დასს სათავეში ედგა ცნობილი მოცეკვავე და ბალეტმაისტერი მ. მორდკინი (დადგა დელიბის „კოპელია“, ადანის „ჟიზელი“ და სხვ.). XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თბილისში ცეკვავდნენ: სოფიო ფიოდოროვა, აისედორა დუნკანი, ვერა და მიხეილ ფოკინები. მ. ფოკინი თბილისში თავის პირველ ნოვატორულ ბალეტებს დგამდა, მაგრამ კლასიკური ბალეტის სწავლებისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით, მარია პერინის ღვაწლი ქართული ქორეოგრაფიისა და ზოგადად კულტურის წინაშე სრულებით უნიკალური და ფასდაუდებელია.

პერინიმ 1916 წელს, თბილისში კლასიკური ცეკვების პირველი ქორეოგრაფიული სტუდია გახსნა, სადაც დაიდგა საინტერესო საბალეტო წარმოდგენები: დელიბის „კოპელია“, საცეკვაო აქტი მეტერლინკის „ლურჯი ფრინველიდან“, და შესრულდა მრავალი საკონცერტო პროგრამა. პერინის სტუდიაში აღიზარდა ქართული საბალეტო ხელოვნების მრავალი გამოჩენილი ოსტატი: დ. და ი. ალექსიძეები, მ. ბაუერი, ს. ვირსალაძე, ნ. და თ. რამიშვილები, ი. სუხიშვილი, ე. ჩიკვაიძე, ი. არბატოვი, მ. სულხანიშვილი, ს. სერგეევი, მ. კაზინეცი, ე. გვარამაძე, თ. და ვ. ჭაბუკიანები, ლ. და ე.სემიონოვები, და სხვები.

1920 წელს სტუდიას „სახელმწიფო თეატრის საბალეტო სკოლა დაერქვა. სკოლის დირექტორად პერინი დაინიშნა, რეპეტიტორად კი პეტერბურგის ოპერის თეატრის ცნობილი ბალეტმაისტერი ნ. სერგეევი მოიწვიეს. სასწავლებლის გადასახადი დიდი არ იყო, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის ბავშვებს უფასოდ ასწავლიდნენ, რომ არა პერინის ასეთი ჰუმანური, ჭეშმარიტად კულტურტრეგერული მიდგომა საბალეტო ხელოვნების სწავლებასთან, ქართული ქორეოგრაფიის ისეთი დიდი წარმომადგენელი, როგორიც ნინო რამიშვილია, უბრალოდ ვერ შესძლებდა ცეკვის შესწავლას. ნინო და თამარ რამიშვილები პერინის სტუდიაში მათი ოჯახის ბაქოდან ჩამოსვლის შემდეგ მოხვდნენ, მაგრამ მალევე მოუხდათ მეცადინეობის შეწყვეტა უსახსრობის გამო. პერინის არ გასჭირვება მიხვედრა, თუ რა იყო ნიჭიერი გოგონების გაუჩინარების მიზეზი. იგი პირადად ესტუმრა რამიშვილების ოჯახს და შემცბარ მშობლებს გამოუცხადა, რომ ის მზადაა, უსასყიდლოდ ამეცადინოს ასეთი იმედისმომცემი ბავშვები (აღნიშნული ეპიზოდი შემდგომ გ. შენგელაიამ გამოიყენა ფილმში „ვერის უბნის მელოდიები“). პერინის სტუდიაში სახვადასხვა ეროვნების 100-მდე მოზარდი ირიცხებოდა და ბევრი მათგანი სწავლის საფასურს არ იხდიდა. უფრო მეტიც, ასეთი კატეგორიის მოწაფეებისათვის პერინი სპეციალურად დგამდა ქორეოგრაფიულ მინიატურებსა და საკონცერტო ნომრებს, ხოლო ბილეთების გაყიდვისგან შემოსულ თანხას ისევ პატარა შემსრულებლებს უნაწილებდა.

1925 წელს პერინის საბალეტო სტუდიამ თავის მოწაფეთა საჩვენებელი დილა გამართა. ამ წარმოდგენის მომსწრე, პოეტი ი. გრიშაშვილი წერდა: „მაყურებლის თვალწინ მოჰქროდნენ მოწაფე გოგონები. ყველას ეტყობოდა პერინის მზრუნველი ხელი და სერგეევისა და არბატოვის მხატვრული გემოვნება. დილის თაიგულებად უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე დასრულებული საბალეტო მსახიობები — ლამაზი ოთხეული: ლ. ჩიკვაიძე, ლ. ბეგთაბეგიშვილი, მ. ბაუერი, ლ. გვარამაძე. ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლით და ტემპერამენტით ცეკვავდა ვ. ჭაბუკიანი, რომელსაც უთუოდ დიდი მომავალი აქვს. საზოგადოებას ძალიან მოეწონა პატარა კომიკური სცენა — „სტიოპკა-რასტრიოპკა“, რომელიც ცოცხლად და ხალისიანად ჩაატარეს და-ძმა ირა და დოდო ალექსიძეებმა. აღსანიშნავია ირას მსუბუქი და ელასტიური ცეკვა, დოდოს მიმიკა. ეს ნომერი საზოგადოებისთვის გამეორებულ იქნა. საინტერესოა, რომ ასეთი წარმოდგენების კოსტუმებისათვის მარია პერინის იტალიიდან საკუთარი ხარჯით ჩამოჰქონდა საჭირო მასალა.

1927 წელს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების ინიციატივით გაიმართა მარია პერინის არტისტული და საბალეტო-პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ეიხენვალდის დირიჟორობით ოპერის თეატრში დაიდგა „ჯადოსნური ტბა“ და სხვადასხვა ქორეოგრაფიული ეტიუდები. შემსრულებლად გამოვიდნენ პერინის მოწაფეები და მის სტუდიაში აღზრდილი მოცეკვავეები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ე. ჩიკვაიძე („ფასკუნჯი“) და ე. გვარამაძე („ბზრიალა“). „ესპანური სურათების შესრულებაში გამოირჩეოდნენ: მ. კაზინეცი, ნ. ბაუერი და თ. ჭაბუკიანი.

თავად მარია პერინის, როგორც კლასიკური ბალეტის მოცეკვავის, ქორეოგრაფიული ნომრები დახვეწილი და ჰაეროვანი იყო. ის კარგად ფლობდა სხეულს, ასრულებდა ორმაგ და სამმაგ პირუეტს, ჰქონდა მაღალი ნახტომი, იყო ზედმიწევნით გრაციოზული. მაყურებელი მას ყოველთვის მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდა. ის დადიოდა მილანში, პარიზში და ეცნობოდა თანამედროვე ბალეტის განვითარებას. მისი სწავლების მეთოდი განპირობებული იყო იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც მან მიიღო ტურინში და მილანის „ლა სკალას“ საოპერო თეატრში. როგორც თვილთმხილველები გადმოგვცემენ, მეცადინეობის დროს პერინი საკმაოდ მკაცრი იყო, მოითხოვდა სრულ კონცენტრაციას, გააზრებულ მოძრაობას, კოორდინაციას. ის იყენებდა ე.წ. „იტალიურ ეკზერსის“. ასეთი ვარჯიშები ანვითარებდა კუნთებს, ეკზერსისი სრულდებოდა სავარჯიშო ოთახის ცენტრში. სწავლების დროს აქცენტი კეთდებოდა მკვეთრი და კონტრასტული პოზების მონაცვლეობაზე, ყურადღება ექცეოდა შინაგანი ექსპრესიის გადმოცემას პლასტიური ნახატით, რიტმულ მოძრაობას, ზედა და ქვედა კიდურებისთვის ცალ-ცალკე ვარჯიშები იყო განსაზღვრული.

პერინის მოსწავლეები იხსენებდნენ მას როგორც თბილ, სამართლიან, ხალისიან ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა ქართული კლასიკური ბალეტის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ისინი ხაზს უსვამენ თბილ და ლამაზ გარემოს, სადაც პერინის წყალობით გაიარა მათმა ბავშვობამ. ყოველ ახალ წელს მარია სახელოსნოში დგამდა დიდ ნაძვის ხეს და ბავშვებთან ერთად რთავდა. ხანდახან სათამაშოებსაც ერთად ჭრიდნენ, შემდეგ მიუსხდებოდნენ სუფრას, რომელიც გემრიელი იტალიური კერძებითა და ტკბილეულით იყო გაწყობილი. სადილის შემდეგ იმართებოდა კონცერტი. ამ პატარა დღესასწაულებში ჰენრიკ გრინევსკიც იღებდა მონაწილეობას. მას საოცრად მოკრძალებულ და თავშეკავებულ პიროვნებად მოიხსენიებენ, თუმცა ბავშვებთან ურთიერთობაში ის ივიწყებდა ჩვეულ აკადემიზმს და მათთან ერთად ხალისობდა. მარია და მისი მეუღლე ერთმანეთში ხშირად იტალიურად საუბრობდნენ, ბავშვებს ასწავლიდნენ იტალიურ საბალეტო ტერმინებს და სხვ. მათი სახლი სტუმართმოყვარე და მხიარული იყო, იქ იკრიბებოდნენ ა. კალგინი მეუღლესთან ერთად, ლ. ბილევიჩი, ვ. ანტონოვი, ნ. მადათოვი და სხვ. ისინი თამაშობდნენ „ჩინურ ბილიარდს“, ვახშმობდნენ (მარია შესანიშნავად ამზადებდა იტალიურ ნაციონალურ კერძებს) საუბრობდნენ თეატრზე, ოპერაზე, კინოზე. ჰენრიხს (მარია მას იტალიურ ყაიდაზე „ენრიკოს“ ეძახდა) განსაკუთრებით ხიბლავდა იტალიური ოპერა, ჯირალდონი, კავალიერი. მარია მხატვრულ ლიტერატურას ძირითადად ფრანგულად კითხულობდა, რუსულად კი აქცენტით ლაპარაკობდა. მას გამორჩევით უყვარდა კინო, და ხშირად დადიოდა ფილმების სანახავად მეგობრებთან ერთად და როგორც იგონებენ, მისი ხმამაღალი, ბავშვური სიცილი ხშირად გადასდებია მთელ მაყურებელთა დარბაზს.

იტალიაში დაბრუნებამდე, 1936 წელს, პერინი დაესწრო მისი აღზრდილის ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი პირველი ქართული ბალეტის („მზეჭაბუკი“) პრემიერას და დარწმუნდა, რომ თურმე მის შრომას უკვალოდ არ ჩაევლო. ქართულ ბალეტს საიმედო მომავალი ესახებოდა. ამავე წელს პერინი წარდგენილი იყო საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდებაზე, ამისთვის ემზადებოდა კიდეც, მაგრამ ბოლო წუთს კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაიფიქრეს, ვინაიდან იგი უცხოეთის მოქალაქე იყო.

1937 წელს სტალინური რეჟიმის მსხვერპლი გახდა პერინის შვილი, ფერდინანდ ინოჩენცი, რომელიც ცოლთან და ორ შვილთან ერთად ქ. ბრიანსკში ცხოვრობდა. ასევე დაიჭირეს მისი ქალიშვილის ქმარი, ქ. ტაგანროგის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერი, ქალიშვილის ბედი კი დღემდე უცნობია. 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს ვერც ჰენრიკ გრინევსკი გადაურჩა. სამოცდარვა წლის ასაკში ეს გამორჩეული ადამიანი და პედაგოგი ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. შვილები და ნათესავები არ დარჩენია. მისი მდიდარი არქივი და მხატვრული მემკვიდრეობა კი თითქმის მთლიანად განადგურდა. საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს მარია პერინიც, რომელიც იძულებული გახდა გაეყიდა ყველაფერი, რაც კი ებადა, რათა მგზავრობის ფული შეეგროვებინა. საქართველოდან ის ჯერ ტურინში წავიდა, ხოლო შემდეგ გადავიდა ნიცაში, სადაც მის დას პანსიონატი ჰქონდა.

1938 წელს მარია პერინი ნიცაში გარდაიცვალა.

მარია პერინის შრომას საბალეტო ხელოვნებისა და ბავშვებისათვის მიძღვნილ ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი მოწაფეების დიდი ნაწილი სახელგანთქმული მოცეკვავე ან ქორეოგრაფი გახდა. ზოგი აქვე დარჩა თბილისში, ზოგი რუსეთსა და საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მასწავლებელი მათ წარმატებას ვერ მოესწრო.

მრავალი წლის შემდეგ, ერთ-ერთ თავის მოგონებაში ვ. ჭაბუკიანი ამბობს: „ბავშვობაში ყველას გვქონდა ნათელი, კეთილი ზღაპრები... ამ კეთილი, ზღაპრული სამყაროდან ოდესღაც მოვიდა ჩვენთან მარია პერინი...“ საბედნიეროდ, მარია პერინის მიერ მშვენიერი იტალიიდან საქართველოში ჩამოტანილი ეს კეთილი ზღაპარი — კლასიკური ბალეტის ჯადოსნური ხელოვნება — დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს და ახალ თაობებს სილამაზის, ჰარმონიისა და გრაციის ამაღლებულ სამყაროში იხმობს.

ლეილა ჭიჭინაძე.
“ARTPALACE”,
საქართველოს თეატრის, მუსიკის,
კინოსა და ქორეოგრაფიის
სახელმწიფო მუზეუმის
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
№2 (01) 24.02.2011
WWW.ARTPALACE.GE
სურათზე: მარია პერინი
მეუღლესთან ერთად

თემურ ჩხაიძე – 55

იუბილე

„ისწავლო და ბოლომდე ჩაწვდე ცეკვის ხელოვნებას, ეს გასცილებით აღვილია, ვიდრე ასწავლო და გაზარდო ნამღვილი მოცეკვავე...“



სათაურში გამოტანილი სიტყვების ავტორი, საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფი თემურ ჩხაიძე, 1956 წლის 10 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში დაიბადა. სწავლობდა იმავე სოფლის საშუალო სკოლაში. მეოთხე კლასში იყო, ტელეეკრანზე სუხიშვილების სახელოვანი ანსამბლის კონცერტი რომ ნახა და ცეკვის სწავლის უდიდესი ინტერესი გაუჩნდა. მშობლებმა სურვილი შეუსრულეს — მოწადინებული ყმაწვილი სკოლის სტუდიაში ცეკვის მასწავლებელს — მამია წერეთელს მიაბარეს. ასე ეზიარა ქართული ცეკვის ხელოვნებას ბატონი თემური. იგი სწორედ სუხიშვილებსა და ბატონ მამიას უმადლის ქართული ცეკვის სიყვარულს.

სკოლის დამთავრებისთანავე, 1972 წელს, ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწავლის პარალელურად ცეკვავდა ბათუმის კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლში (ხელმძღვანელები რეზო ჭანიშვილი და თემურ ბიბილეიშვილი). 1973 წელს ბათუმში გამართულ ერთ-ერთ ფესტივალზე თემურ ჩხაიძის ცეკვით მოიხიბლა საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე, რომელიც იმხანად აჭარის სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობდა და ყმაწვილი ანსამბლში მიიწვია ცეკვა „ქართულის“ შესასრულებლად. ეს იყო უდიდესი ბედნიერება და დაუღალავი შრომის პირველი შედეგი. ამ წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდა მოცეკვავეს და მეტი შემართებისაკენ უბიძგა. შედეგმაც არ დააყოვნა, მალე იგი აჭარის სახელმწიფო ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე და სოლისტი გახდა.

1974 წელს თემურ ჩხაიძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. იგი, სხვა მოცეკვავეებთან (თემურ ლომთათიძე, გურამ ოშაყმაშვილი, ნოდარ გლურჯიძე) ერთად ჩარიცხეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ქორეოგრაფი ლეონიდ მიშნიაკოვი). ახალგაზრდები ანსამბლის წამყვანი მოცეკვავეები და სოლისტები გახდნენ. თემურ ჩხაიძემ აქ შეისწავლა მსოფლიოს ხალხთა ეროვნული ცეკვები. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ ბათუმში ბრუნდება და აჭარის სახელმწიფო ანსამბლში აგრძელებს მოცეკვავის წარმატებულ კარიერას.

1980 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჯემალ ჭკუასელისა და რეზო ჭანიშვილის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ანსამბლში მიიწვიეს ბატონი თემური და იგი საცხოვრებლად ქუთაისში გადადის. იქვე, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, აგრძელებს სწავლას. ორი წლის განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა ანსამბლთან ერთად სხვადასხვა ქალაქებში გამართულ კონცერტებსა და ფესტივალებში. 1982 წელს კი წყვეტს წარმატების ზენიტში მყოფი მოცეკვავის კარიერას. ამის მიზეზი ხდება მოულოდნელი ოჯახური ტრაგედია — შვილის გარდაცვალება. საკმაო ხანი დასჭირდა უმძიმესი ტკივილის მოშუშებას. ამასობაში ბატონმა თემურმა ქუთაისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა, ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლაში დააარსა ქორეოგრაფიული სტუდია. მისი აღსაზრდელები წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკურ კონკურსებსა და ფესტივალებში, ოლიმპიადებზე. სწორედ ამ წარმატებების ფონზე ბატონი თემური ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გურამ ძოწენიძემ სასახლის მთავარ ქორეოგრაფად მიიწვია. თემურ ჩხაიძემ აქაც გამოიჩინა თავი. სასახლეში მოქმედი ქორეოგრაფიული წრეები და ანსამბლები წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ. პარალელურად მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლთან არსებულ ცეკვის სახელმწიფო სტუდიაში ქორეოგრაფად, იყო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმერეთის“ ხელმძღვანელი.

1985 წელს ქუთაისში მხატვრული აღზრდის სახლი გაიხსნა. მისმა ხელმძღვანელმა ზეინაბ ბურჯანაძემ თემურ ჩხაიძე ქორეოგრაფიული განყოფილების გამგედ მიიწვია. ახალგაზრდა ქორეოგრაფი ჩვეული შემართებით შეუდგა საქმეს და წარმატებამაც არ დააყოვნა — 1987 წელს მისმა აღზრდილებმა თბილისში გამართულ ფართომასშტაბიან კონკურსზე ჯანო ბაგრატიონის სახელობითი მთავარი პრიზი მოიპოვეს.

1988 წელს ბატონი თემური საცხოვრებლად თბილისში გადმოდის, სადაც ამთავრებს კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს ქორეოგრაფიის განხრით. სულ მალე, თბილისის მხატვრული აღზრდის სასახლის დირექტორის ნათელა ჯიღაურის მიწვევით სასახლეში ქორეოგრაფად მუშაობას იწყებს. 1990 წელს სწორედ აქ დააარსა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შევარდენი“. მოკლე ხანში ანსამბლი გრიბოედოვის თეატრის სცენაზე ვრცელი რეპერტუარითა და სოლო კონცერტით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ასე დაიმკვიდრა ანსამბლმა და მისმა ხელმძღვანელმა ადგილი ქართული ქორეოგრაფიის კაბადონზე. სოლო კონცერტს მოჰყვა მიწვევები და წარმატებული გამოსვლები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთ. ანსამბლმა ცეკვით მოიარა თითქმის მთელი ევროპა და ქართული ცეკვის ხიბლს აზიარა უამრავი ადამიანი.

1992 წელს თემურ ჩხაიძე საქართველოს პროფკავშირების სასახლის მთავარ ქორეოგრაფად ინიშნება და ანსამბლი „შევარდენიც“ იქ გადაჰყავს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტთან არსებული კოლეჯის მთავარ ქორეოგრაფად.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „შევარდენი“ ამჟამად მოქმედებს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში და მისი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი კვლავაც უკვე სახელოვანი ქორეოგრაფი თემურ ჩხაიძეა. იგი გახლავთ ღირსების ორდენოსანი, მიმდინარე წელს თბილისის მერიამ დააჯილდოვა ოქროს მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი“. მისი ანსამბლი საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართული საერთაშორისო ფესტივალების ოთხი გრან-პრის მფლობელია. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალებში: ნიდერლანდები (1993), უნგრეთი (1994), საფრანგეთი (1995), გერმანია (1997), იტალია (1998), თურქეთი (2000, 2003, 2005 და 2008). ანსამბლი მრავალი ქართული და უცხოური ჯილდოსა და გრან-პრის მფლობელია. „შევარდენის“ რეპერტუარში ყველაზე თვალსაჩინო ცეკვებია: „განდაგანა“, „მოხევური“, „შაირმე“, „ქალთა ლირიული“, „კინტოური“, „ქალვაჟთა მთიულური“, „აფხაზური“ და სხვ.

ბატონი თემური იუბილარია — მიმდინარე წლის 3 დეკემბერს ანსამბლი „შევარდენი“ განსაკუთრებულად აღნიშნავს მისი ხელმძღვანელის დაბადებიდან 55 და მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს. საიუბილეო საღამო შედგება საქართველოს პროფკავშირების კულტურის ცენტრში და დაიწყება 12 და 17 საათზე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი და გაზეთ „საქართველოს ქორეოგრაფიის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ თემურს ესოდენ ღირსსახსოვარ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, შემოქმედებით წინსვლას და ახალ-ახალ წარმატებებს ქართული ქორეოგრაფიის სადიდებლად.

წარმოგიდგენთ

მავშვთა ქორეოგრატიული ანსამმლი „სალხინო“

ჩვენი გაზეთი აგრძელებს საუკეთესო საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების წარდგენას მკითხველის წინაშე. ამ ნომერში გაგაცნობთ სანსამბლ „სალხინოს“ და მის ხელმძღვანელებს.

ანსამბლი თბილისის მე-8 საჯარო სკოლასთან (დირექტორი ელისო ნიკოლაშვილი) არსებობს და 1996 წლიდან წარმატებით გამოდის სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ანსამბლის ისტორია კი უფრო ადრე იწყება...

ანსამბლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელი, ცნობილი ქორეოგრაფი ოლეგ ბაღდავაძე გახლავთ თავის მეუღლესთან, ნონა გურგენიძესთან ერთად. ოლეგი დაიბადა ვანში 1957 წლის 1 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლა ვანში დაამთავრა 1974 წელს. მსახურობდა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ თბილისს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად — 1977 წელს ჩაირიცხა ს. ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. აქ მის დაოსტატებაზე ზრუნავდა პედაგოგი კონსტანტინე მანჯგალაძე. სასწავლებლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1979 წელს. პარალელურად ცეკვავდა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გივი ბუაჩიძესთან. ქართული ხალხური ცეკვის ხიბლს კი ოლეგი 6 წლის ასაკში ეზიარა ვანში პედაგოგ ჯონი თუთარაშვილთან. შემდეგ იყო გრიგოლ ტუღუში, ზაურ ლაზიშვილი... თბილისიდან ოთარი მშობლიურ კუთხეში ბრუნდება და 1979 წელს ქორეოგრაფად იწყებს მუშაობას ვანის კულტურის ცენტრში, სახალხო თეატრში. ოლეგი დაოჯახდა. მისი მეუღლე, ნონა გურგენიძე, პედაგოგი და ქორეოგრაფია. მანაც ს. ზაქარიაძის სახელობის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრა ქორეოგრაფიის განხრით. მისი პედაგოგიც კონსტანტინე მანჯგალაძე იყო. ახალშეუღლებულებმა სახალხო თეატრთან ჩამოაყალიბეს ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“ (შვილებიც მშობლების გზას გაჰყვნენ — ოთარ და ბექა ბაღდავაძეები „ერისიონში“ ცეკვავენ, ომარი კი აკომპანიატორია და ოსეთის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობს).

1996 წლიდან ოლეგ ბაღდავაძე, ოჯახითურთ, თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და მუშაობას იწყებს თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, საიაზარეს ცეკვის ბავშვი დაეუფლა

დაც დღემდე მუშაობს. აქ იგი, მეუღლესთან ერთად, ხელმძღვანელობს ბავშვთა ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიას და მასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სალხინოს“.

ამ შესანიშნავმა ქორეოგრაფებმა და პედაგოგებმა მრავალი ახალგაზრდა ხელოვნებას, დღეს მისი აღზრდილები თვითონ არიან ქორეოგრაფები და წარმატებით ხელმძღვანელობენ ქორეოგრაფიულ სტუდიებს, ცეკვავენ პროფესიულ და აკადემიურ ანსამბლებში. „სალხინოში“ კი დღეს უკვე მეხუთე თაობა ცეკვავს, დაახლოებით ათასამდე ქართული ცეკვის ხელოვნებას ამ ანსამბლში.

ანსამბლის წარმატებაზე, მის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლის დირექციაც ზრუნავს, სკოლის დირექტორმა ელისო ნიკოლაშვილმა ბავშვებს ყველა პირობა შეუქმნა სამეცადინოდ, მოქმედებს რამდენიმე დარბაზი სრულყოფილი გასახდელებით, გათბობით. ანსამბლი უზრუნველყოფილია საცეკვაო ფორმებით. რეპერტუარი მრავალფეროვანია, 24-მდე ცეკვას ასრულებენ „სალხინოელი“ ბავშვები. მათი რაოდენობა დღეს 80-მდეა, ისინი 5-15 წლის ასაკისანი არიან. ცეკვავენ „დავლურს ქართულით“, „განდაგანას“, „ხორუმს“, „რაჭულს“, „კაურს“, „სვანურს“, „ფარცას“, „ქალთა მთიულურს“, „ოსურს“, „ნარნარს“, „კინტაურს“ და სხვას. ანსამბლის გამოსვლებს ალამაზებენ სოლისტები: ანი ეკალაძე, გვანცა ექიზაშვილი, ნინო ხოსიტაშვილი, გუგა კენჭუაშვილი, ნინო გაბიდაური, ელენე ყიფშიძე, მარი ჯელაძე, ვანო გოგოლაძე და სხვები, ყველა ბავშვი აქ წარმატებულია. სწორედ ეს განაპირობებს ანსამბლის გამარჯვებებს: სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებზე მოპოვებული 10 გრან-პრი, ოქროს მედლები, I ხარისხის დიპლომები, ლაურეატობის წოდებები, პრიზები ინდივიდუალურ შემსრულებლებს... ანსამბლს ოვაციებით ხვდებიან თურქეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში... „სალხინომ“ 4-ჯერ გამართა სოლო კონცერტი. წლის ბოლოს ისინი განახლებული 2-განყოფილებიანი სოლო კონცერტით წარსდგებიან მაყურებლის წინაშე. მომავალი წლის გაზაფხულზე მიწვეულნი არიან ბულგარეთსა და საბერძნეთში. ანსამბლი და მისი ხელმძღვანელები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირთან, მონაწილეობენ კავშირის ეგიდით გამართულ ყველა ღონისძიებაში. ოლეგ ბაღდავაძეს და ნონა გურგენიძეს თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში. წარმატებები ვუსურვოთ მათ და მათ აღსაზრდელებსა და აღზრდილებს, ყველა „სალხინოელს“. ანსამბლში მოხვედრის მსურველებმა კი შეგიძლიათ მიმართოთ ბატონ ოლეგს და ქალბატონ ნონას მე-8 საჯარო სკოლაში (თბილისი, ცქიტიშვილის 11, გადასასვლელ ხიდთან), ან დაუკავშირდეთ ტელეფონით: 599 410 624.

ხევსური „ფარიკაობა-კეჭნაობა"

ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების ოქროს ფონდში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შექმნილ საცეკვაო ნიმუშებს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ, გამორჩეულად აღსანიშნავია საბრძოლო ხელოვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფოლკლორული შედევრები, რომელთა შექმნაშიც უდიდესი წვლილი სწორედ ადგილობრივ ტრადიციებს, ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევ ცხოვრების წესსა და ხალხის ფანტაზიას ეკუთვნის.



ჩვენამდე მოღწეულ მთიელთა, კერძოდ, ხევსურთა მიერ შექმნილ ფოლკლორულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება საბრძოლო ცეკვა „ფარიკაობა". ეს არის ცეკვა, რომელშიც გასაოცარი ჰარმონიულობით ერწყმის ერთმანეთს მთიელთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რაინდული სულიერება, ვაჟკაცური შემართება, სიჩაუქე, ქართული ხასიათის თავისებურებები, ქალისადმი პატივისცემის მაღალი გრძნობა და ესთეტიზმი.

ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიასა და მის გეოგრაფიულ განფენილობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქვეყნის მთიან რეგიონებში მოძიებული საცეკვაო ფოლკლორის საერთო სპექტრში ხევსურთა წვლილი ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, აღნიშნულ რეგიონში, ფაქტობრივად, არ დასტურდება საცეკვაო ლირიკის ნიმუშები, სარიტუალო ფერხულები, თუნდაც გადახდილი გმირული ბრძოლების ან კიდევ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ამსახველი სალაღობო-სახუმარო საცეკვაო მოძრაობები თუ დასრულებული ნომრები.

ნათქვამი, ბუნებრივია, იმას არ ნიშნავს, რომ ძველ დროში ხევსურეთში მცხოვრებ ხალხთა სხვადასხვა თაობას ამგვარი რამ საერთოდ არ გააჩნდათ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იმ ფაქტის მოშველიებაც შეიძლება, რომ, ზოგიერთი ავტორის ცნობით, თვით „ფარიკაობის" ტიპის ცეკვა, თავის დროზე, თურმე „ფერხისას" დამაგვირგვინებელი ეტაპი ყოფილა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ხევსურებს, სულ ცოტა, სარიტუალო-საფერხულო ცეკვა ჰქონიათ. ასევე უნდა ჰქონოდათ, მართალია, არცთუ ბოლომდე დახვეწილი, მაგრამ მაინც საინტერესო მამაკაცთა ინდივიდუალური ცეკვა, რომელიც წრეში სრულდებოდა. ამ ფაქტს ჯერ კიდევ XIX საუკუნის მოგზაური-ეთნოგრაფები ადასტურებენ.

თვითონ იმ ფაქტს, რომ ხევსურთა საცეკვაო ტრადიციები ერთგვარი სიღარიბითა და ნაკლებსიუხვით გამოირჩევა, მკვლევარ-ეთნოგრაფები აქაური საცხოვრებელი გარემოს უკიდურესი სიმკაცრით, მისი გავლენით ჩამოყალიბებული ცხოვრების წესითა და ადათ-ტრადიციებით ხსნიან.

ხევსურეთი კავკასიონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს განლაგებულ ქედებზე, ქედებს შორის წარმოქმნილ მაღალმთიანსა და ხევებით დაღარულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მას დაახლოებით 1050 კვ. კილომეტრი უჭირავს. კავკასიონის ქედი აღნიშნულ სივრცეს ორ ნაწილად ჰყოფს. ერთია ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითა ხევსურეთი, რომელსაც იქაურნი უფრო მეტად შატილიონად ან კიდევ არხოტიანად (არხვატიანი) მოიხსენიებენ და მეორეა პირაქეთა ხევსურეთი, რომელიც არაგვის ხეობისაგან შედგება.

ასეთი გეოგრაფიული გარემო, გრძელი ზამთრის სიმკაცრე, მტრულად განწყობილი ტომების მეზობლობა და თვითგადარჩენის ინსტინქტიდან მომდინარე იმპულსები აქ მცხოვრებ ხალხს ქცევის შესაბამის მოდელს უმუშავებდა. სწორედ ამის შედეგია, რომ ხევსურთა საცეკვაო ხელოვნებაში უმთავრესი ადგილი საბრძოლო სულისკვეთების გამომხატველ ნიმუშებს ენიჭებოდა.

ეთნოგრაფებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისშივე დაადასტურეს, რომ ხევსურებს საცეკვაო ხელოვნებისადმი ის დამოკიდებულება არ ახასიათებთ, რაც ნიშანდობლივია დანარჩენი საქართველოსათვის. კერძოდ, ქალ-ვაჟის ცეკვით გაშაირება-გართობა აქ არსებითად არ გვხვდება. დღესასწაულებზე მამაკაცები ცალკე ილხენდნენ, ქალები კი განზე იდგნენ და ისე ადევნებდნენ მათ თვალს. სამაგიეროდ, ახალწლის პირველ დღეს არხოტის თემის ხატის მთავარი მსახური ხმლით ცეკვის ცერემონიას ასრულებდა. თემის მოსახლეობა დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს აღნიშნულ რიტუალს და ელოდებოდა იმ მომენტს, როდესაც ხმალი ქარქაშიდან ამოიწეოდა. თუ ეს მოხდებოდა, ხალხის რწმენით, განგება ნიშანს იძლეოდა, რომ მტერი უეჭველად დამარცხდებოდა.

ხევსურთა ყოფის, მათი ცხოვრებისა თუ გართობის უმთავრესი ატრიბუტი იყო ფარი, ხმალი და „ფარიკაობა". ამ საქმეს ისინი ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ - ჯერ ხის ხმლების, შემდეგ კი ნამდვილი იარაღის დახმარებით. ჩვეულებრივ ყოფაში ფარიკაობა, უფრო ზუსტად მისი ხალხური წინა ვარიანტი „კეჭნაობა", ხშირად მთელ დღეს გრძელდებოდა. მოკეჭნავენი ცალ მუხლზე იწყებდნენ ხმლებით ჩხუბს, თავს ფარით იცავდნენ. საჭიროების შემთხვევაში მდგომარეობას იცვლიდნენ, ანუ ხან ერთ მუხლზე იჩოქებოდნენ, ხან - მეორეზე. ამგვარი შერკინების დასრულება ხან გაშველებით ხდებოდა, ხან ქალის მხრიდან მანდილის ჩაგდებით, ხანაც კიდევ ურთიერთშეთანხმებით.

მკვლევარ-ქორეოგრაფთა დაკვირვებით, „ფარიკაობა", როგორც საბრძოლო ხასიათის ცეკვა, „ფერხულის" დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო (შ. ასლანიშვილი), გუნდი მღეროდა და ხოტბას ასხამდა ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებს. „ფერხულის" მონაწილენი ბოლოს „ფარიკაობის" წმინდა საგმირო რიტუალს ასრულებდნენ.

ქართველ ქორეოგრაფთა შთაგონების წყაროდ იქცა სწორედ „ფერხისის" თანხლებით შესრულებული ის საბრძოლო საცეკვაო რიტუალი, რომელიც თანამედროვე სცენაზე „ფარიკაობის", ან კიდევ „ფარიკაობა-კეჭნაობის" სახელითაა ცნობილი. აღნიშნულ ცეკვას დღეისათვის კონკრეტული ავტორი არ ჰყავს. იგი მრავალთა შემოქმედებითი, ზოგჯერ დაუსწრებელი თანამოაზრეობის ნაყოფია, ცეკვა „მთიულურის" მოძრაობებზეა აგებული. იგი წყვილის ან წყვილთა ცეკვაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გასულ XX საუკუნეში მან მასობრივი საბრძოლო ცეკვის ხასიათი შეიძინა. ხშირად მასში ქალებიც მონაწილეობენ, კერძოდ, საწყის და ბოლო სტადიაზე.

ცეკვის სიუჟეტური ქარგა რთული არაა და უმეტესწილად სიყვარულის ტრადიციული სამკუთხედით იკვრება, ორ ვაჟს ერთი ქალი უყვარს. გოგონა საცეკვაო მოედანზე გამოდის, რათა გულისსწორს შეხვდეს. ვაჟიც მალე გამოჩნდება. იწყება ნაზი, ლირიზმით სავსე საცეკვაო მოძრაობები. უეცრად სცენაზე ქალის მოტრფიალე, გახელებული მეორე მიჯნური შემოიჭრება და ხმალში საბრძოლველად იწვევს პირველ ვაჟს. ავის მოლოდინში ქალი გაერიდება საბრძოლო არენად ქცეულ სცენას. იწყება საბრძოლო მოძრაობები, ურთიერთდაზვერვა და შერკინებისათვის მომზადების სცენა, ამ დროს მოედანზე შემოიჭრება მებრძოლთა ორი ჯგუფი, რომლებიც საბრძოლო პოზიციებს იკავებენ სცენაზე მყოფი ორი დუელიანტის მხარდასაჭერად. რამდენიმე ტაქტიანი საბრძოლო მოქმედების შესრულების შემდეგ იწყება ჯგუფური შერკინება. ცოტა ხნის მერე მოფარიკავენი წყვილდებიან და ინდივიდუალურად ებრძვიან ერთმანეთს. ბოლო წყვილი დგება ქალის მიჯნურებისგან, რომლებიც თავდაუზოგავად ეკვეთებიან ერთმანეთს. მათი ბრძოლის ფინალიდან კი ისევ კოლექტიური შერკინება იწყება. როდესაც საბრძოლო დაპირისპირება აპოგეას მიაღწევს, მებრძოლები კი თავის სიჩაუქეს ყოველმხრივ გამოავლენენ (წყვილი ხმლით ფარიკაობა, სალტოები, შეხტომები, ვარდნები...), სცენაზე ისევ ქალი ან ქალთა ჯგუფი შემოდის, გახელებულ მეომართა რიგებში აღწევს და მანდილის ჩაგდებით მათ რისხვა-შერკინებას აცხრობს, ცეკვა მთავრდება და მოცეკვავენიც აქტიური მოძრაობებით ტოვებენ სცენას.

ქორეოგრაფმა, რომელიც ცეკვა „ფარიკაობის" დადგმას მოისურვებს, უთუოდ უნდა გაუწიოს ანგარიში ხევსური ტრადიციის იმ ნიუანსებს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია შემდეგი: „კეჭნაობის" დროს მებრძოლებს ფარ-ხმალი ერთად უჭირავთ - ხმალი წინ, ფარი უკან. მუხლზე დგომისას დასაშვებია პოზიციის შეცვლა, ხან ერთ მუხლზე იჩოქებენ, ხანაც მეორეზე. ამ დროს დასაშვებია მოწინააღმდეგისთვის ხმლის მსუბუქად დაკვრა. „კეჭნაობა" მთავრდება მაშინ, როდესაც მეომრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებიან და მოწინააღმდეგის დაჯაბნვას უფრო მკაცრი საშუალებებით ცდილობენ. ამასთან, აუცილებელია ბრძოლა მხოლოდ თანაბარი იარაღით, თუ მოწინააღმდეგეს იარაღი გაუვარდა, მასზე ხმალდახმალ მისვლა აღარ შეიძლება, დაუშვებელია ზურგიდან მიპარვით დაკვრა, წაქცეულის დაზიანება და ა.შ.

ცეკვა „ფარიკაობის" მუსიკალური თანხლებისათვის აუცილებელია დოლისა და გარმონის გამოყენება, თუმცა თანამედროვე პირობებში ქორეოგრაფები სხვა ტექნიკურ შესაძლებლობებსაც მიმართავენ. მელოდიებად გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი მუსიკალური მასალა 2/4 ან 6/8 ზომის ფარგლებში.

რეზო ჭანიშვილი,
პროფესორი

ლატავრა ფოჩიანი

ჟანრული ტექნიკა ტანტრწყობილებაში

(ლატავრა ფოჩიანის გახსენება)

„ქალია კალმი დასმი, თვითეული კენარი, ვავარი, სინაზით ცვიფრული, მწყაზარი, მიმტრვი, კლემული, ნელი, წყნარი, ნარნარი, ქალწულური სრული ამბავი: ნოკვა — ტოტმანი, ტოტმანი — სრიალი, სრიალი — ტირვა, ტირვა — ტურვილი: ტელის ტურვილი. ყველანი ერთად: ტელები, ტელები, თეთრი ტელები, რან ფერინ ფალური ტამწკრივეებული ჭაერივენები. რან მარიალ ტამწლილი, ნიმეელი ანეს ტასრულელად ეფინება (ნა ტოტონებია! დალილოს ნვენი ლელული!)“

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ლეგენდარული ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლის ბრწყინვალე სპექტაკლის ხილვით აღფრთოვანებული გენიალური მწერლის, გრიგოლ რობაქიძის ეს სტრიქონები მისი ცნობილი ესსედან „ქართული გენია როკვით განფენილი“, მთლიანად მიესადაგება ქართული ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავს, საქართველოს სახალხო არტისტს, ლატავრა ფოჩიანს.

ლარავრა ფოჩიანის, ამ გამოჩენილი მოცეკვავის, მრავალწლიანმა ნაყოფიერმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ქორეოგრაფიის განვითარებასა და მსოფლიო პოპულარიზაციაში.

მაინც რით არის გამორჩეული ლატავრა ფოჩიანის შემოქმედება? ჩემთვის, უპირველესად, საგულისხმოა ის, რომ მისი ხელოვნება ღრმად ეროვნულია და თვითმყოფადი. იგი ერის წიაღიდანაა აღმოცენებული. ლატავრას მიერ უზადოდ შესრულებული ცეკვების თითოეულ მოძრაობაში აისახა ქართველი ქალის საუკეთესო თვისებები: კეთილშობილება და კდემამოსილება, სიმამაცე და შეუპოვრობა, ნარნარი სიკეკლუცე და ღვთაებრივი ჰაეროვნება.

ლატავრა ფოჩიანმა მთლიანად წარმოაჩინა ქართულ საცეკვაო ფოლკლორში თავისი უნიკალური ტალანტი. მას ხელეწიფებოდა ნებისმიერი შინაარსის ქართული ცეკვა. არიან მოცეკვავეები, რომლებიც „ქართულს“ ცეკვავენ კარგად, ან აჭარულს, ან მოხეურს. ლატავრა ყველა ცეკვაში თანაბრად ძლიერი იყო. განუმეორებელია მისი ქრიალა დავლა, აღსავსე შინაგანი ტემპერამენტით და შეზავებული ნატიფი და დახვეწილი პლასტიკით. ბრწყინავდა ცეცხლოვანი „მთიულურის“ შესრულებისას, ნიავივით მიჰქონდა წელი, ამავდროულად, ის იყო უშბასავით ამაყი და ძლიერი, როგორც „ლილეო“. საოცრება იყო ლირიულ ცეკვებში, ხელეწიფებოდა ქალაქური საცეკვაო ფოლკლორი — განუმეორებელია მისი დაირით ცეკვა და „მუხამბაზი“. ხოლო ხალხური შემოქმედების მწვერვალ ცეკვა „ქართულში“ იგი გამოირჩეოდა ლირიკული, მომხობლავი სიმსუბუქითა და სიფაქიზით. ლატავრამ ამ ცეკვაში წარმოაჩინა ის მადლი და სიკეთე, რაც ქართველი კაცის შემოქმედებით ფანტაზიას ჩაუქსოვია ქართულ ცეკვებში. სწორედ ეს ბუნებით მომადლებული თვისებები მიმაჩნია ლატავრა ფოჩიანის ხელოვნების აღიარების საწინდრად.

მსოფლიო საოპერო ხელოვნების ციტადელში — მილანის „ლა-სკალას“ თეატრის სცენაზე ლატავრამ თავის ბრწყინვალე პარტნიორთან, ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად, ჯადოსნური „ქართული“ მაყურებლის უწყვეტი ტაშის თანხლებით იცეკვა. ეს მართლაც დიდებული და დაუვიწყარი შესრულება იყო.

ლატავრა ფოჩიანს თბილისის ყოფილ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შევხვდი პირველად. ცოტა ხანს ქორეოგრაფ რომან ჭოხონელიძის ანსამბლში ვცეკვავდით. ლატავრა შემდეგ პოპულარულ თვითმოქმედ ანსამბლში გამოდიოდა, რომლის ხელმძღვანელიც ცნობილი ქორეოგრაფი ბუხუტი დარახველიძე იყო. იმ პერიოდში ამ ანსამბლში თავი მოიყარეს გამორჩეული ტალანტით დაჯილდოებულმა მოცეკვავეებმა. ანსამბლმა არაერთ საერთაშორისო ფორუმზე გამოიჩინა თავი. ლატავრამ ამ ანსაბლთან ერთად მოიპოვა მოსკოვსა და ვენაში გამართული სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალების ლაურეატის წოდება.

სწორედ ლატავრა ფოჩიანის ცეკვის ფურორმა ათქმევინა ავსტრიის დედაქალაქში პოეტ იოსებ ნონეშვილს მშვენიერი ლექსი – „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“.

„მოგოგმანობს გოგნი,
გოგნი გოგონა,
მოაქვს მთელი
საქართველოს ეშხი,
და გოგონას თვალთა
ჭიაკოკონა,
ლამის ცეცხლად
აბრიალდეს ტყეში...“

ქართული ცეკვის მშვენება არა მარტო პოეტების, გამოჩენილი მხატვრების მუზაც იყო. საქართველოს სახალხო მხატვარმა კორნელი სანაძემ ლატავრა ფოჩიანის რამდენიმე შთამბეჭდავი ფერწერული პორტრეტი შექმნა: „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, „ტრიპტიქი შოთა რუსთაველი“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ცნობილი მხატვრის ესმა ონიანის ტილო „ლატავრა“. ლატავრა ფოჩიანის სცენურ სახეებს ვერც ქართულმა კინემატოგრაფიამ აუარა გვერდი. იგი გადაღებულია მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში: „შეხვედრა მთაში“, „ტრიუმფი ლა-სკალაში“, „საქართველო — ლეგენდები და სინამდვილე“, „ძველი თბილისის მელოდიები“, „კორნელი სანაძე“, „რუსთაველი — 800“.

ბედნიერი ვარ, რომ წლების მანძილზე ლატავრა ფოჩიანთან მომიწია შემოქმედებითი ურთიერთობა. კარგა ხანს ვიყავით ერთად სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლში იმ დროს, როდესაც ეს ანსამბლი შემოქმედებით ზენიტში იყო. პარტნიორებიც ხშირად ვიყავით — ჯერ ცეკვა „ქართულში“, შემდეგ კი 1966 წელს, როდესაც ანსამბლში დაიდგა ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ქაჯეთის ციხის აღება“, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. ილიკო სუხიშვილმა, ნინო რამიშვილმა და ანსამბლის ერთგულმა მხატვარმა სულიკო ვირსალაძემ ამ კომპოზიციის მთავარი გმირების შემსრულებლები შეარჩიეს. ნესტან-დარეჯანი ლატავრა იყო, მე — ტარიელი, ფრიდონი — ფრიდონ სულაბერიძე, თინათინი — ნინო კირვალიძე, ავთანდილი — თენგიზ სუხიშვილი, ასმათი — მანანა აბაზაძე. ეს იყო ბრწყინვალე დადგმა. უნდა ითქვას, რომ ლატავრა ფოჩიანმა მართლაც შექმნა ნესტან-დარეჯანის სახე. დიახ, სწორედ რომ შექმნა, რადგან კომპოზიცია მოითხოვდა არა მარტო ცეკვას, არამედ მთავარი გმირების შემსრულებლებისგან დრამატული მსახიობის ოსტატობასაც.

ამ დადგმიდან, რომელშიც ლატავრას უშუალო პარტნიორი ვიყავი, ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სცენას გავიხსენებ: როდესაც „ქაჯეთის ტყვეობიდან“ გათავისუფლებული ნესტან-დარეჯანი — ლატავრა, „გამარჯვებული რაინდების“ მხრებზე გადაგდებულ, ჰეროიკულ კიბედ გაკეთებულ ფარებზე ამაყად გადმოაბიჯებდა, მის შესახვედრად ხელგაშლილი ვუმზერდი მას და თვალწინ (არ ვაჭარბებ) ჩვენი სათაყვანებელი თამარ დედოფალი მესახებოდა...

ღირსეულად დაფასდა ლატავრა ფოჩიანის ბრწყინვალე შემოქმედება. მას არაერთი საზოტბო წერილი თუ რეცენზია მიუძღვნეს ცნობილმა კრიტიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ მრავალ ქვეყანაში.

ცეკვა ქართული. ლატავრა ფოჩიანი და ფრიდონ სულაბერიძე

ცეკვა მთიულური. ლატავრა ფოჩიანი

ნესტან დარეჯანი – ლატავრა ფოჩიანი, ტარიელი – თენგიზ უთმელიძე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲪᲐᲪᲠᲬᲧᲘᲜᲕᲔᲚᲐ

აქ მხოლოდ ერთ მცირე და საგულისხმო შეფასებას მოვიყვან ლატავრა ფოჩიანის შესახებ, რომლის ავტორია ქართული ცეკვის სწორუპოვარი დედოფალი ნინო რამიშვილი:

„ლატავრა არის ფართო დიაპაზონის მოცეკვავე, ნამდვილი ხელოვანი, შემოქმედი, ფანატიკურად შეყვარებული თავის ხელოვნებაში.

მისი განუმეორებელი სვლა-დავლა, სისწრაფე, შედეგია ლატავრას არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობისა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი ბუნებრივი ნიჭი, რომელიც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია... მისი პიროვნება სინთეზია სიმართლისა და პატიოსნების, სიყვარულისა და ლმობიერების, ზვიადობისა და ქალური ღირსების...

ლატავრას სცენაზე გარდასახვა არ სჭირდება. იგი თვითონვე მიისწარაფვის გარდასახვის მაქსიმუმისაკენ“.

სამწუხაროდ, ლატავრა ფოჩიანმა სულ ახლახან დატოვა თავისი სათაყვანებელი ქვეყანა და გადავიდა იმქვეყნიურ საუფლოში. დიდი შემოქმედებით გასხივოსნებული, ქართული ცეკვის ბრწყინვალე ვარსკვლავი გამოჩენილ მამულიშვილთა სამუდამო სავანემ — დიდუბის პანთეონის წმინდა მიწამ მიიბარა...

ამ წერილის დასასრულს ისევ პოეზია უნდა მოვიშველიო, მით უმეტეს, რომ ლატავრა ფოჩიანის მთელი ხელოვნება მართლაც „ცეკვის პოეზიაა“.

დარწმუნებული ვარ, ჩვენს სასიქადულო მწერალსა და დრამატურგს გიორგი ერისთავს ლატავრას მადლითცხებული როკვა რომ ეხილა, თავის ცნობილ ლექსს — „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგიშვილისადმი (ლეკურის თამაშობაზედ)“, მასაც უშურველად მიუძღვნიდა:

„...ერთი შეხედვით, ვით ყარყატი
ყელმოღერებით,
მოსცურავს ეგრე მშვენივრად და
ნარნარებით,
უყურეთ ფეხთა თვალ ვერ
სწრებით, როგორა ხმარობს,
ჰაერთთა ზვირთთა, თვისის
ფრთებით, ვითა განაპობს?
ხედავთ მაგ ტანსა, გულ წამტანსა,
ნორჩსა მრხეველსა,
შეჰხედეთ თმათა, ხშირთა შავთა,
შვენობენ წელსა,
მკლავს მე ხელების, ზესთა
ფრთების უცხოდ ხმარება,
აგრე მოჰფრინავს, თითქოს მიწას
არ ეკარება!
ვიშ, მაგ სახესა, სინაზესა,
სულის სარკესა!
მაგ ნაზ ტუჩებზე ეგ ღიმილი
ვინ დაგიწესა?
მოდით მჭვრეტელნო, ტაშის
მკვრელნო, ვუთხრათ მადლობა“.

თენგიზ უთმელიძე

1. ნესტან-დარეჯანი – ლატავრა ფოჩიანი. „ქაჯეთის ციხის აღება“.

2-3. ნესტან დარეჯანი – ლატავრა ფოჩიანი, ტარიელი – თენგიზ უთმელიძე.

4. ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ქაჯეთის ციხის აღება“.

თენგიზ უთმელიძის ფოტოები

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲚᲐᲢᲐᲕᲠᲐ ᲤᲝᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲛᲘᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲐ

საქართველოს პრეზიდენტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უბადლო მოცეკვავისა და შემოქმედის ლატავრა ფოჩიანის გარდაცვალების გამო. მიხეილ სააკაშვილი თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

„ქალბატონი ლატავრა ქართული ცეკვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი იყო. ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, მას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. განუმეორებელი ნიჭით, სილამაზითა და სიყვარულით შესრულებული მისი ყოველი ცეკვა სამუდამოდ დარჩება მაყურებლის მეხსიერებაში“, — აღნიშნულია სამძიმრის წერილში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ლატავრა ფოჩიანის ოჯახს გაუგზავნა.

ᲚᲐᲢᲐᲕᲠᲐ ᲤᲝᲩᲘᲐᲜᲘ

ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, ქართული ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავი, საქართველოს სახალხო არტისტი, ლატავრა ფოჩიანი.

ლატავრა ფოჩიანი დაიბადა 1939 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ლექსურაში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა. შვიდი წლის იყო, როდესაც თბილისის პიონერთა სასახლესთან არსებულ ქორეოგრაფიულ წრეში გადადგა ქართული ცეკვის პირველი ნაბიჯები (ხელმძღვანელები ა. ჩხაიძე და რ. ჭოხონელიძე). მისი აღიარება კი, როგორც ქართული ცეკვების შემსრულებლისა, მოხდა 1957 წელს მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალზე, სადაც ამ ფესტივალის ლაურეატი გახდა. შემდეგ იყო მსოფლიო ფესტივალი ვენაში... კვლავ ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი. ეს წარმატებები ლატავრა ფოჩიანმა იმ დროს პოპულარულ ქართული ცეკვის ახალგაზრდულ ანსამბლთან ერთად მოიპოვა, რომელსაც ქორეოგრაფი გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე ხელმძღვანელობდა.

1965-1982 წლებში ლატავრა ფოჩიანი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ცეკვის აკადემიურ ანსამბლში მოღვაწეობს. სწორედ ამ ლეგენდარულ ანსამბლში წარმოჩინდა მთელი მშვენიერებით ლატავრა ფოჩიანის ბუნებით მომადლებული ტალანტი. იგი შემოქმედებით პროცესში ღრმად სწვდებოდა ეროვნული უნიკალურობის სილამაზესა და სიღრმეს. მისი შესანიშნავი სცენური გარეგნობა, დიდ საცეკვაო ოსტატობასთან ერთად, უზადო პლასტიკის მშვენიერ სანახაობას ქმნიდა. ფართო დიაპაზონის მოცეკვავე ერთნაირად ძლიერი იყო ლირიულ, სწრაფტემპიან თუ სახასიათო ცეკვებში. განუმეორებელი იყო ცეკვა „ქართულში“, რომელშიც გამოირჩეოდა ქრიალა სვლა-დავლით, ჰაეროვნებითა და კდემამოსილი მომხიბვლელობით.

ლატავრა ფოჩიანის ხელოვნება ღრმად ეროვნულია. მის ცეკვებში აისახა ქართველი ქალის საუკეთესო თვისებები. იგი ცეკვისთვის იყო დაბადებული. მისი შესრულების სტილი და სცენური კულტურა, რომელშიც შერწყმული იყო გარეგნული მსვენიერებაც და ქართული ცეკვის მადლიც, მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებს იპყრობდა.

ლატავრა ფოჩიანი გადაღებულია ქართულ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში: „შეხვედრა მთაში“, „ტრიუმფი ლა-სკალაში“, „საქართველო — ლეგენდები და სინამდვილე“, „ძველი თბილისის მელოდიები“, „ცეკვავს ლატავრა ფოჩიანი“ და სხვა. ლატავრა ფოჩიანის საცეკვაო ხელოვნება არაერთი ცნობილი ქართველი მხატვრისა და პოეტის შემოქმედებაშიც აისახა.

ლატავრა ფოჩიანს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და ამ განხრით სხვადასხვა დროს რიგ სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობდა. იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, „ღირსების ორდენის“ კავალერი.

ლატავრა ფოჩიანმა წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნული ქორეოგრაფიისა და ქართული კულტურის ისტორიაში. ქართული ცეკვის ჭეშმარიტი ვარსკვლავის, ლატავრა ფოჩიანის ნათელი ხსოვნა მარადჟამს დარჩება მისი თაყვანისმცემლების, მეგობრებისა და კოლეგების გულებში.

რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, ბესიკ სვანიძე, იამზე დოლაბერიძე, ნინო კირვალიძე, რევაზ ჭოხონელიძე, თენგიზ უთმელიძე, ოლეგ ალავიძე, დავით წულუკიძე, იური ტორაძე, ზაურ ლაზიშვილი, ომარ ხუბაევი, ილიკო თაყაიშვილი, გივი სურვილაძე, ჰამლეტ კოგეშავიძე, გელოდი ფოცხიშვილი, ჯემალ რეხვიაშვილი, თემურ ჩხაიძე, ანზორ გვარამაძე, ბორის საჯაია, სოფიკო იაშვილი, ჯამუ გარუჩავა, მურმან გამისონია, თამაზ კიკალიშვილი, ენვერ გუჯაბიძე, ჯეირან გოგინავა, ავთანდილ ლომთაძე, კონსტანტინე ნიქაბაძე, ალეკო ქართველიშვილი, გულო მიქაძე, ლამარა უთმელიძე, გელა ჭანიშვილი, კახაბერ მარკოიშვილი, გოჩა გრძელიშვილი, ტარიელ გოგობერიშვილი, თამარ მელიქიშვილი, გოჩა ყველაიძე, ზაზა მჟავანაძე, ალექსანდრე ზაქაიძე, თენგიზ ჯავახიშვილი, ნოდარ აბულაძე, ავთანდილ გურგენიძე, ვანო ფეიქრიშვილი, მელისი ნადირაძე, თამაზ გეჟანიძე, შალვა გოგუაძე, მერაბ დოლიძე, თემურ ქორიძე, გიორგი ჭანიშვილი, ჯემალ ესიავა, ჯემალ ჩიჩუა, თამაზ მოსია, რეზო გულია, გიგლა თურქია, ამირან პაიჭაძე, ახმედ ამბალია, ჯუმბერ დუნდუა, ვაჟა ახვლედიანი, ანზორ კუპრაძე, გია ხუციშვილი, გია ჭულუხაძე, თემურ ტატიშვილი, სოსო ფუტკარაძე, სოსო შენგელია, სამსონ მენაბდიშვილი, ვაჟა ნასყიდაშვილი, მარინა ნასყიდაშვილი, ოლეგ გაღდავაძე, კახა დაშნიანი, კობა დუნდუა, ჯუმბერ ცუცქირიძე, ნუგზარ ჯიქური, ნოდარ ქოთოლაშვილი, მამუკა ცერცვაძე, რომეო ტატიშვილი, ნინო ტურიაშვილი, ირაკლი ცერცვაძე, თენგიზ სუხაშვილი.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ქორეოგრაფიის ვასკვლავის, უდიდესი მოცეკვავის, ღირსების ორდენის კავალერი, უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონის, საქართველოს სახალხო არტისტის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ლატავრა ფოჩიანის *გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, სრულიად საქართველოს.*

წარმოგიდგენთ

„ლომისი"

ქართული ხალხური ფოლკლორი თავისთავად უნიკალური მოვლენაა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელმა მსოფლიომ ქართული კულტურით გაიცნო საქართველო. მინდა ერთ-ერთი ქორეოგრაფიული ანსამბლი გაგაცნოთ, რომელიც აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.

ეროვნული ცეკვების უსაზღვრო სიყვარულმა და ქართულ ქორეოგრაფიაში მცირე წვლილის შეტანის სურვილმა 1995 წელს ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლომისი", რომლის ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი ქალბატონი თამუნა მელიქიშვილია. მან 1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი (კონსტანტინე მანჯგალაძის კურსი). პარალელურად, სწავლობს ქორეოგრაფიის რესპუბლიკურ სახალხო უნივერსიტეტში, რომელსაც ასევე წარჩინებით ამთავრებს. მისი უმთავრესი მიზანი და სურვილი მოზარდებში ქართული გენის, ქართული სულის გაღვიძება იყო, რასაც, ვფიქრობთ, კარგად გაართვა თავი. ამის დასტურია ის, რომ „ლომისი" დღესაც აქტიურ მოღვაწეობას ეწევა და უკვე 17 წელია ამაყად მიაბიჯებს შემოქმედებით გზაზე, რომელიც საკმაოდ რთული და ეკლიანია.

„სამწუხაროდ, საქართველოში იყო დრო, როცა გაყინულ დარბაზში, სანთლის შუქზე გვიწევდა მუშაობა, არ იყო ტრანსპორტი, ბავშვები ფეხით მოდიოდნენ რეპეტიციაზე, მაგრამ „ლომისს" მუშაობა არ შეუწყვეტია, – იხსენებს თამუნა, – მინდა იმ თაობის ლომისელებს მოვეფერო და მადლობა ვუთხრა: დღეს რომ „ლომისი" არსებობს, თქვენი დამსახურებაა, ბავშვებო, მიყვარხართ ლომისელებო! ეს ის თაობაა, ჩემ თვალწინ რომ გაიზარდა, დღეს „ლომისის" სახელით ისევ სცენაზე დგანან უკვე 20-22 წლის გოგო-ბიჭები. „ლომისის" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ანსამბლის რეპეტიტორებს ზურა ჭრიკიშვილს და სერგო ფოფხაძეს, 207-ე საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ ზურაბ ჩხაიძეს, 159-ე სკოლის დირექტორს ქალბატონ თამუნა გამდლიშვილს, ეს ის გუნდია, რომელიც „ლომისის" წარმატებით და წინსვლითაა დაინტერესებული. მადლობა მათ გვერდში დგომისა და დახმარებისათვის".

ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ფესტივალებსა და კონკურსებში, საიდანაც ყოველთვის ხელდამშვენებული ბრუნდება. მის არქივში ინახება არაერთი საპატიო ჯილდო, თუ დიპლომი: მაგალითად, 2006 წელს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა „ლომისი" აღიარა წლის საუკეთესო კოლექტივად და ჯილდოდ გადასცა „ოქროს დაფნის რტო". ასევე წლის საუკეთესო კოლექტივად დასახელდა „ლომისი" 2010 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებულ კონკურსზე, ანსამბლი გახლავთ „ოქროს მართვეს" მრავალგზის ლაურეატი. მთელი რიგი ამ ჯილდოებისა განპირობებულია იმით, რომ ანსამბლის რეპერტუარში ხშირად ვხვდებით თემატურ-სიუჟეტურ ცეკვებს, რისთვისაც 2003 წელს I ხარისხის დიპლომი და სპეციალური პრიზი მიიღო საპატრიარქოსაგან „ცეკვის ახლებური გააზრებისათვის". სწორედ ეს ახლებური ხედვა და ფართო სპექტრი იდეოლოგიისა ეხმარება ქალბატონ თამუნას, თავისუფლად გააგრძელოს მუშაობა ცეკვის თეატრზე, რაც მისი დიდი ხნის სურვილი იყო და, რომელიც ეს ესაა ყალიბდება და მუშაობის პროცესშია, სულ მალე „ლომისს" არა მარტო როგორც ანსამბლს, არამედ თეატრის სახითაც ვიხილავთ, სადაც ყოველი სპექტაკლი ნაციონალური ცეკვით იქნება გადმოცემული.

თეატრალური სამყარო თამუნასთვის უცხო არაა, იგი 1992-1999 წლამდე მუშაობდა მ. კოსტავას სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ-მუსიკალურ თეატრში (მსახიობ-მოცეკვავედ), გაფორმებული აქვს სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლები (ქორეოგრაფია, სასცენო მოძრაობა, პლასტიკა): გ. შავგულიძის სახელობის დამოუკიდებელი თეატრი, 1997 წ. – კომედია „ხანუმა იტალიაში". 1988 წ. მ. კოსტავას სახელობის სახელმწიფო თეატრი – „ხევისბერი გოჩა". 1999 წ. რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი – „კაცია ადამიანი"; 1999 წ. ა. ყაზბეგის სახელობის თეატრი, სტეფანწმინდა, – „კაცია ადამიანი" და ა. შ.

თამუნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ცეკვით, იგი კარგად ფლობს ინდურ კლასიკურ ცეკვებსაც, მას მაყურებელი 12 წლის ასაკიდან იცნობს, პირველად საქართველოში მან შეასრულა ინდური კლასიკური ცეკვები, ამიტომ დღეს ანსამბლის რეპერტუარში შეხვდებით როგორც ქართულ, ასევე აზიური ხელოვნების ნიმუშებს. თამუნამ ცოდნა ინდოეთში მადრასის კლასიკური ცეკვების აკადემიაში „კალაკ-შეტრაში" აიმაღლა. 1993-1998 წლებში მუშაობდა საქართველო-ინდოეთის კულტურული ურთიერთობების ასოციაციაში „ბჰარატი".

14 იანვარს ლომისი სწორედ ინდოეთში მიემგზავრება საგასტროლოდ ქ. ბომბეიში. კეთილი მგზავრობა და წარმატებები ვუსურვოთ ლომისს და ლომისელებს.

სკანვორდი



თარაზულად: 5. XIX საუკუნის ფრანგი მხატვარი და გრაფიკოსი; 6. სერ.....სკოტი — ცნობილი რეჟისორი, პროდიუსერი და ოპერატორი; 9. ერთ-ერთი ქართული ცეკვა (სურათზე მარჯვენა ზედა კუთხეში); 10. იტალიის ქალაქ ვარეზეს საკალათბურთო გუნდი, კონტინენტის 5-გზის ჩემპიონი კლუბებს შორის; 13. მხარე რუსეთის ფედერაციაში; 14. ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი; 15. თანასოფლელთა ურთიერთდახმარების ფორმა; 17. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რუსული აბრევიატურა; 19. ტყავის წვივსაკრავი; 21. სამოას დედაქალაქი; 22. ველი საქართველოში; 23. მონღოლები ამ მდინარეს „ხარა-მურენს" (შავ მდინარეს) უწოდებენ; 26. ცნობილი ქართველი მსახიობი (სურათზე მარცხენა ქვედა კუთხეში) ქალის სახელი; 27. სახლი დასავლეთ საქართველოში; 28. ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი დრამატურგი; 29. მიმართვა ფშავ-ხევსურეთში; 30. ჩენჩო; 31. ქართული გაზეთი; 32..... სუმაკი, პერუელი მომღერალი ქალი (1922-2008) ყველაზე ძლიერი ვოკალური მონაცემებით; 34. გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის ზედმეტსახელი; 36. მდინარე თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 37. მობილური ტელეფონების ფირმა; 38. სოფელი ახმეტის რაიონში.

შვეულად: 1. მოძღვრება ცეკვების შესახებ; 2. როგორი შეიძლება იყოს კისერი? 3. სიკეთე; 4. წილი საერთო საქმეში; 7. ერთ-ერთი წმინდანთაგანი; 8. უნგრელი კომპოზიტორი; 11. იტალიელი მომღერალი ქალი; 12. კანის სოკოვანი დაავადება; 16. საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული ერთ-ერთი დასარტყმელი საკრავი; 17. მცხეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელში შემავალი სიტყვა; 18. ერთ-ერთი უძველესი მესხური ცეკვა; 19. მაუგლის მეგობარი გველი; 20. ხმალიც და ქორეოგრაფიული ანსამბლიც; 24. ცნობილი ამერიკელი კინოპროდიუსერისა და შოუმენის სახელი; 25. მდინარე მოსკოვში; 29. მომღერალთა გუნდი; 33. მილიციელის მეტსახელი; 34. ყვავილების ან მწვანილის შეკვრა; 35. საქართველოში თამბაქო XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ეს იყო დაბალი ხარისხის.....; 36. საქართველოს ისტორიული რეგიონი.

ხსოვნა

ავთანდილ თოლორდავა

ქართულმა ქორეოგრაფიამ სამწუხარო დანაკლისი განიცადა — 2011 წლის 12 ნოემბერს, საკუთარ დაბადების დღეს, 39 წლის ასაკში, ჯორჯ ბუშის ქუჩაზე მომხდარი ავტოავარიის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა უნიჭიერესი ახალგაზრდა მოცეკვავე და ქორეოგრაფი ავთანდილ თოლორდავა. იგი დაიბადა 1972 წლის 12 ნოემბერს ოზურგეთში. სკოლაში შესვლისთანავე ეუფლება ქართული ცეკვის ხელოვნებას, 1980 წელს სწავლას იწყებს ოზურგეთის ქორეოგრაფიულ სტუდიაში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1984 წელს. მისი, როგორც მოცეკვავის, კარიერა იწყება ოზურგეთის საქალაქო ანსამბლში ცნობილ ქორეოგრაფთან, ბატონ ჯუმბერ დუნდუასთან. 1989 წლიდან თბილისშია და ცეკვავს ანსამბლ „როკვაში" ჯანო ჯანიაშვილისა და უჩა დვალიშვილის ხელმძღვანელობით. 1990-1992 წლებში ცეკვავდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. 1992-1996 წლებში იყო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტი მოცეკვავე, შემდეგ, 2000-2003 წლებში, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონში" გამოდის. 2004 წლიდან წარმატებით ცეკვავს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავში". 2008 წლიდან ქორეოგრაფ-რეპეტიტორად მუშაობას იწყებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში „კიდევაც დაიზრდებიან" (ხელმძღვანელი გოჩა ყველაიძე). უამრავი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. უდროოდ შეწყდა ნიჭიერი მოცეკვავის, ქორეოგრაფის, კარგი ადამიანის სიცოცხლე.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ახალგაზრდა მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ავთანდილ თოლორდავას ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ქორეოგრაფია
მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №180

სარედაქციო საბჭო: რეზო ჭანიშვილი; ოლეგ ალავიძე; რევაზ ბალანჩივაძე; უჩა დვალიშვილი; ზაურ ლაზიშვილი; ნინო მდევაძე; ბესიკ სვანიძე; თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

ნომრის რედაქტორი
ამირან გუთურიშვილი
ტელ: 2 45 49 02;
2 15 50 14;
5 99 55 15 84.